ხელშეკრულება
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის
განხორციელების შესახებ N45
CPV 50110000

ქ. თბილისი **„7 ივნისი“ 2022წ.**

ხელშეკრულების მხარეები
ერთის მხრივ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, წარმოდგენილი ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ნინო ნოზაძის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის დავით გიორგობიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის #26 დადგენილების საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ტერმინთა განმარტებები**
1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია ხელშეკრულება.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „შესყიდვის ობიექტი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. **ხელშეკრულების საგანი**
ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საჭიროებისათვის, შემსყიდველის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების (HYUNDAI IONIQ) სახ. ნომრით OO-845-FO) ავტოტექმომსახურება ახალი სათადარიგო ნაწილებით (CPV 50110000) დანართი #1-ის შესაბამისად.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**
3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 180 (ას ოთხმოცი) ლარს. დღგ-ს ჩათვლით.
3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.
3.3. დაფინანსების წყარო: 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

4. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები**
4.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველისათვის" მომსახურების გაწევას 2022 წლის 6 ივნისს მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
4.2. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი მომსახურებისათვის დადგენილ სტანდერტებს.
4.3. „მიმწოდებელმა“ მომსახურების გაწევა უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ და დაასრულოს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ ვადებში შესაბამისი ავტოსათადარიგო ნაწილის არ ქონის ან/და ტექნიკური სირთულის გამო ვერ ხერხდება მომსახურების დასრულება, მომსახურება დასრულებული უნდა იქნეს მხარეთა შორის გასაზღვრულ გონივრულ ვადაში, გონივრული ვადა შეიძლება განისაზღვროს როგორც წერილობით, ასევე მის გარეშე.

5. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**
5.1. მომსახურების გაწევისთვის მიმწოდებელი ადგენს დეფექტურ აქტს მომსახურების გასაწევად წარდგენილ ავტომობილზე.

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების/შესრულებული მომსახურების აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6.3 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება 6.2. პუნქტში განსაზღვრული პროცედურის დასრულების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლებები

7.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.

7.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

7.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.1.1. დადგენილ ვადაში 4.1 პუნქტის შესაბამისად გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

8.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.1.3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „შემსყიდველს“ მისი მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტი ან/და მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია.

8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის დროული გადახდა.

8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 2 (ორი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ სრულ/არასრულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.2% ოდენობით.

იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცილებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%, მაშინ შემსყიდველს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს მიმწოდებელს გასვლის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სხვა სახით არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულების 13.1 და 13.3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სხვა სახით არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2% მაშინ შემსყიდველს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

13.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 20% ოდენობით.

13.5. მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდგომ, შემსყიდველის მიერ 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.02% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ვადის გადაცილება გამოწვეულია სახელმწიფო ხაზინის ან მიმწოდებლის ბანკის ბრალეულობით.

13.6. მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლო გადახდილი უნდა იქნეს შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. პირგასამტეხლოს არასრულად გადახდის შემთხვევაში მიმწოდებელს საგადახდო დავალების თარიღის დღიდან კვლავ ეკისრება ამ მუხლით გათვალისწინებული თითოეული სანქციის მიხედვით განსაზღვრული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება დავალიანების სრულად დაფარვამდე, რომლის ოდენობასაც მიმწოდებელი თავად ანგარიშობს გადახდის დღის ჩათვლით.

13.7. მხარეები სრულად ანაზღაურებენ ბრალეოლი ქმედებით მეორე მხარისთვის მიყენებულ ზიანს.

13.8. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების კონტროლი

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის დადგენილი თანამშრომელი გია სოფრომაძე.

14.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

14.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით.

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის ან/და პუნქტის ბათილობა და ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

18.2. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

18.3. ხელშეკრულება ხელმოწერილია ელექტრონული ფორმით და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ს/კ: 204 548 230 მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას N7 ტელ: 299 97 08; 577 97 44 11 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	**სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“** ს/კ: 204 478 948 იურ. მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE15TB1100000110467697
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **ნინო ნოზაძე** Nino Nozadze Digitally signed by Nino Nozadze Date: 2022.06.07 13:39:20 +04'00'	**დირექტორი** **დავით გიორგობიანი** HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Date: 2022.06.07 16:13:41 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი 7 ივნისი 2022წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გაფორმებულ N45 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ვადასტურებთ რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“-სთან.

გავეცანით წინამდებარე ხელშეკრულებას და შენიშვნები არ გაგვაჩნია.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ნ. ნოზაძე

Nino Nozadze

Digitally signed by Nino Nozadze
Date: 2022.06.07 13:39:59 +04'00'

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი

ავტოპარკის ზედამხედველი

გ. სოფრომაძე

Gia Sophromadze

Digitally signed by Gia Sophromadze
Date: 2022.06.07 13:40:27 +04'00'

დანართი N1

N	სათადარიგო ნაწილი / საცხებ საპოხი მასალა/ მომსახურება	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი ლარი	ერთეულზე მომსახურების ფასი ლარი	ღირებულება სულ
1	საქარე მინის საწმენდი	1 ცალი	75	5	80
2	საქარე მინის საწმენდი	1 ცალი	75	5	80
3				სულ:	160 ლარი